xelSekruleba saxelmwifo Sesyidvis Sesaxeb #99

(გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრის დაცვით)

ქ. მარნეული *„29“ „მაისი“ 2023 წელი*

*ერთის მხრივ, **მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია,** შემდგომში წოდებული „შემსყიდველად'', წარმოდგენილი მისი **მერის კენან ომაროვის სახით,** და, მეორეს მხრივ **ფიზიკური პირი ელვარ ნაბიევი (პ/ნ 28001028006),** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:*

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

<u>მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელის 23.05.2023 წლის N-07-322314321 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე შენობის რეაბილიტაცია / რეკონსტრუქციის სამუშაოების შეუფერხებლად გაგრძელების მიზნით, კონდენციონერების დემონტაჟის მომსახურების შესყიდვა (CPV – 507 300 00 - გამაგრილებელი ჯგუფების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება).</u>

3. ხელშეკრულების ღირებულება

*3.1. ხელშეკრულების ღირებულება **შეადგენს 1275 (ერთი ათას ორას სამოცდათხუთმეტი) ლარს.***

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

*3.3. დაფინანსების წყარო – **2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.***

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები:

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

*4.1.1. განახორციელოს მომსახურების გაწევა მხარეთა მიერ **ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან, მიმდინარე წლის 31 მაისამდე, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. შემდეგ მისამართზე: ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა N-73***

*4.1.2. მიწოდებელი ვალდებულია გაწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში რომელიც მითითებულია **ხელშეკრულების მე–4 მუხლში;***

4.1.3. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

4.1.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.1.5. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს ინსპექტირების / კონტროლის განხორციელება;

4.2.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების ვადებისა და პირობების დაცვით.

4.2.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი / ინსპექტირება

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპეტირებას განახორციელებს შემსყიდველი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს / პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას / მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

5.3. შემსყიდველის მხრიდან კონტროლს განახორციელებს **მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ზულფიგარ მამედოვი.**

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გაწეულ მომსახურებაში **აღმოჩენილი წუნის გამოსწორება დაუყოვნებლივ.**

6. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება–ჩაბარების აქტის სახით. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი პირის / პირების ხელმოწერით. ხელშეკრულების პირობების (ვადების, რაოდენობის, ხარისხის) და კონტროლის განმახორციელებლი პირის / პირების დადებითი დასკვნის შესაბამისად.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების <u>ხელმძღვანელი ან / და დროებით მოვალეობის შემსრულებელი.</u>**

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში;

7.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

7.3. ანგარიშსწორების ვადა – **მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (მომსახურების მიღებიდან) 10 სამუშაო დღის განმავლობაში.**

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების ან / და სხვა გამომწვევი მიზეზის თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, **ხელშეკრულების მე–10 მუხლის შესაბამისად.**

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე **ხელშეკრულების 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილებისა და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში,** შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს **დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%–ის ოდენობით.**

9.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით** გათვალისწინებული შემთხვევებისა **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“** საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების** დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია **ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.**

10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. თითეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ფორს–მაჟორი

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული მდგომარეობით.

13.2. ამ მუხლის მიზნებისთვის ,,ფორს–მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან / და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ

თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

14. ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა

14.1. *წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი, ხელმოწერით ადასტურებს, რომ* ***„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად,*** *მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ გამარტივებული შესყიდვის მეთოდით შერჩეულ* ***<u>პრეტენდენტთან ფ/პ „ელვარ ნაბიევ(ი)“</u>*** *– თან სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტში არ იმყოფება.*

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. *წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის* ***ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.***

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია	*ელვარ ნაბიევი*
საიდენტიფიკაციო კოდი: 234 232 149	*საიდენტიფიკაციო კოდი: 28001028006*
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N-73	*მისამართი: მარნეული, გრიბოედოვის ქუჩა N 1*
E-mail: municipaliteti.marneuli@gov.ge	*ტელეფონი: 593 59 37 00*
ტელეფონი: 599 85 72 77; 591 919 334	
საბანკო რეკვიზიტები:	*საბანკო რეკვიზიტები:*
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	*მომსახურე ბანკი: სს საქართველოს ბანკი*
ბანკი / ბანკის კოდი: TRESGE22	*ბანკი / ბანკის კოდი: BAGAGE22*
ანგ. No.ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022	*ანგ. No.ა GE 40 BG 0000 0001 7060 6600*
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი:	*ფ/პ:*
კ. ომაროვი	*ე. ნაბიევი*
MARNEULI MUNICIPALITY Digitally signed by MARNEULI MUNICIPALITY Date: 2023.05.29 12:17:52 +04'00'	Elvar Nabiev Digitally signed by Elvar Nabiev Date: 2023.05.29 12:10:56 +04'00'

მხარეთა მიერ გამოყენებულია კვალიფიციური / ელექტრონული ხელმოწერები

 დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
მარნეული
MARNEULI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
16.09.2014
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2014
სდს-ს რეგისტრაციის No 26-3184

13IG91205328001028006<<<<
22M2409168GEO<<<<<<<<<<<7
V<<ELVAR<<<<<<<<<<<<<<<<<<



Georgia
GEO
საქართველო
სახელი / FIRST NAME
ელვარ
ELVAR
გვარი / LAST NAME
ნაბიევი
NABIEV
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მმ / M
პირადი No / PERSONAL No
28001028006
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
02.08.1964
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
16.09.2024
ბარათის No / CARD No
13IG91205
ხელმოწერა
SIGNATURE